შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია
GEORGIAN INTERNATIONAL ENERGY CORPORATION LLC

№ 451/1 27 10 2022

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ასლი: სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ რევაზ ბეჟაშვილს

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ლევან ჯღარკავას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2022 წლის 23 სექტემბრის №21/5576 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-26 ბრძანების მე-2 პუნქტითა და 2015 წლის 18 ივნისის N31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობით დადგენილი დათევზიანების მეთოდში ცვლილების შეტანის ინიციატივა მომდინარეობს სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნულ სააგენტო"-ს 2022 წლის 25 მაისის N1/115 და 2022 წლის 17 ივნისის №1/144 წერილების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი წერილის საფუძველზე, კორპორაციამ მიმართა სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტო"-ს და სთხოვა მოეწოდებინა მათ ხელთ არსებული ყველა ის ინფორმაცია და მასალები, რაც საჭირო იყო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-26 ბრძანების მე-2 პუნქტითა და 2015 წლის 18 ივნისის N31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობით დადგენილი დათევზიანების მეთოდში ცვლილების შეტანისთვის ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

გიგზავნით სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტო"-ს 2022 წლის 19 ოქტომბრის №1/246 წერილს, სადაც დასაბუთებულია პირობის ცვლილების აუცილებლობა, როგორც ეფექტური საშუალება გარემოზე ზემოქმედების შემცირებისთვის, ასევე მითითებულია შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები/დასკვნები/კვლევები.

სს. „გარემოს ეროვნული სააგენტო"
„27" 10 2022
№ 5942

ISO 9001 CERTIFICATION
Intertek

ქ. თბილისი, 0177 გაზაფხულის ქ. №18
18, GAZAPKHULI STR, 0177 TBILISI, GEORGIA
საიდენტიფიკაციო კოდი / ID: 230866783
Tel.: +(995 32) 2 21 01 87
E-mail: giec@giec.ge

ამდენად, იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, განმეორებით მოგმართავთ თხოვნით, შეიტანოთ ცვლილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-26 ბრძანების მე-2 პუნქტით და 2015 წლის 18 ივნისის N31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობით დადგენილი დათევზიანების მეთოდში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს მიერ შემოთავაზებული პრიორიტეტების შესაბამისად.

შემოთავაზებული დათევზიანების პრიორიტეტები შემდეგნაირია:

I. ქვირითით თვალების სტადიაზე დათევზიანება;
II. ლარვით დათევზიანება (გამოჩეკილი კალმახი, ლიფსიტობის სტადიამდე);
III. ლიფსიტით დათევზიანება - ბუნებაში მაქსიმალურად ადრეულ სტადიაზე გაშვება, რათა მაქსიმალურად მოახდინონ ბუნებრივ საკვებთან და გარემოსთან ადაპტაცია.

გარემო-ფაქტორებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული მეთოდით დათევზიანების შეუძლებლობის შემთხვევაში, კომპანია ავტომატურად განიხილავს ჩამოთვლილთანგან შემდეგი მეთოდით დათევზიანებას.

სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს" მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ კორპორაციას მიეცემა შესაძლებლობა დათევზიანება განახორციელოს ქვირითით ლარვისა და თვალების სტადიაზეც, ყოველწლიურად მდ. რიცეულას და მდ. ხედეთურის კაშხლების ზედა ბიეფებში დათევზიანება განხორციელდება ნაკადულის კალმახის 26 000 ცალი ქვირითით (თვალების სტადიაზე).

რაც შეეხება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-26 ბრძანების მე-2 პუნქტით და 2015 წლის 18 ივნისის N31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობის, კერძოდ, დათევზიანების 2022 წლის ვალდებულების 2023 წლისთვის გადადების საკითხს, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არ საჭიროებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი პროცედურების გავლას, რადგან, როგორც თქვენთვის ცნობილია, კორპორაცია მზაობის მიუხედავად, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს მოცემული ვალდებულები შესრულებას მიმდინარე წელს და ამიტომ ითხოვს მის გადავადებას 2023 წლისთვის.

როგორც კორპორაციის 2022 წლის №373/1 წერილშია მითითებული, 2023 წლის ვალდებულების შესრულების პროცესში გათვალისწინებული იქნება 2022 წლის ვალდებულებაც და სააგენტოს სპეციალისტები მდ. რიცეულას და მდ. ხედეთურის კაშხლების ზედა ბიეფებში დათევზიანებას განახორციელებენ ნაკადულის კალმახის 52 000 ცალი ქვირითით (თვალების სტადიაზე ან ლარვით), ან პრიორიტეტული მეთოდით დათევზიანების შეუძლებლობის შემთხვევაში - 40 000 ლიფსიტით.

გთხოვთ თქვენ გადაწყვეტილებას.

დანართი:
1. სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 25 მაისის №1/115 წერილი - 2 ფურცლად;

2. სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის №1/144 წერილი - 6 ფურცლად;
3. შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ 2022 წლის N373/1 წერილი - 2 ფურცლად;
4. შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ 2022 წლის 11 ოქტომბრის N439/1 წერილი - 4 ფურცლად;
5. სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 ოქტომბრის №1/246 წერილი - 2 ფურცლად.

პატივისცემით,

მალხაზი იასეშვილი
საოპერაციო დირექტორი